ცესკო
საქართველოს
საარჩევნო
ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

სამახსოვრო საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრისთვის

განკუთვნილია იმ საარჩევნო უბნისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე ტარდება

წინამდებარე რესურსი მომზადებულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ.

სამახსოვრო ინსტრუქცია წარმოადგენს დამხმარე რესურსს კომისიის წევრის მიერ ფუნქციის შესაბამისად ამომრჩევლისთვის კვალიფიციური სერვისის განსახორციელებლად.

ამომრჩეველს განუმარტეთ ძირითად საარჩევნო ყუთში საარჩევნო ბიულეტენის მოთავსების წესი:



„განცაღკევებით მდგარი მაგიდიდან დამოუკიდებლად აიღეთ სპეციალური კონვერტი, მოათავსეთ მასში საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი ჩაუშვით ძირითად საარჩევნო ყუთში“.

მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი სპეციალური კონვერტი აქვს, გახსენით საარჩევნო ყუთის ჭრილი, მიუთითეთ ამომრჩეველს, სპეციალური კონვერტი მოათავსოს საარჩევნო ყუთში და დატოვოს საარჩევნო უბანი.

გახსოვდეთ:

- ამომრჩეველი, რომელიც ფიზიკური მდგომარეობის, კერძოდ, ზედა კიდურების არქონის გამო ვერ ახერხებს ხმის მიცემის პროცედურების დამოუკიდებლად შესრულებას, მის ნაცვლად, მისი თანდასწრებით, შევსებულ საარჩევნო ბიულეტენს სპეციალურ კონვერტში დებს და შემდეგ ძირითად საარჩევნო ყუთში ათავსებს მის მიერ არჩეული პირი, რომელიც დაეხმარა საარჩევნო ბიულეტენის შევსებაში.

- თუ კენჭისყრის შენობაში მყოფი პირების მხრიდან ვლინდება შემთხვევები, როგორიცაა: კომისიის წევრის საქმიანობაში ჩარევა; კენჭისყრის ოთახში ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკური შეფერხება; ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენზე გაკეთებული არჩევანის ფოტოვიდეოგადაღება ან სხვაგვარი დამუშავება - <u>მოახდინეთ მყისიერი რეაგირება, მიუთითეთ დამრღვევს აღკვეთოს კანონსაწინააღმდეგო ქმედება და ფაქტთან დაკავშირებით აცნობეთ კომისიის თავმჯდომარეს.</u>